დანართი: მთავრობის მოსაზრება

შემდეგი დანართი არ არის საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე ECRI-ის ანალიზის და რეკომენდაციების ნაწილი

შესაბამისად, გამართა კონფიდენციალური დიალოგი საქართველოს ხელისუფლებასთან ამ ანგარიშის პირველადი პროექტის შემუშავებაზე. ხელისუფლების კომენტართა ნაწილი გათვალისწინებული და ინტეგრირებულია ანგარიშის საბოლოო ვერსიაში (რომელიც მოიცავს პერიოდს 2015 წლის 17 ივნისამდე. ეს ის თარიღია, როცა განიხილეს ანგარიშის პირველადი ვერსია).

ხელისუფლებამ ასევე მოითხოვა, რომ ანგარიშში დანართის სახით შესულიყო შემდეგი მოსაზრებები:

საქართველოს შესახებ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) ანგარიშზე
საქართველოს მთავრობის კომენტარები

(მონიტორინგის მეხუთე ციკლი)
2016

შესავალი

საქართველოს მთავრობის აღნიშნული კომენტარები მომზადებულია საქართველოს შესახებ „ECRI“-ს ანგარიშის (შემდგომში – ანგარიში) საფუძველზე (მონიტორინგის მეხუთე ციკლი). „ECRI“-ს ექსპერტები საქართველოს ეწვივნენ და შეხვედრები გამართეს 2015 წლის 23-27 მარტს. სამწუხაროა, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის გადაწყვეტილების მიუხედავად,[1] ვერ მოხერხდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ვიზიტის განხორციელება, სადაც ადამიანის უფლებები ძალიან ხშირად ირღვევა.

საქართველოს მთავრობა სრულად აფასებს ექსპერტების მიერ გაწეულ ძალისხმევასა და ჩატარებულ სამუშაოებს, ამასთან, საჭიროდ მიიჩნევს მოხსენების ცალკეულ ნაწილთან მიმართებით განმარტებებს, რათა სრულად წარმოჩნდეს საქართველოში რასიზმსა და შეუწყნარებლობასთან დაკავშირებით არსებული ვითარება. ამ მიზნით წარმოდგენილია ანგარიშიდან შესაბამისი ამონარიდები საქართველოს მთავრობის კომენტარებთან ერთად:

1) გვ. 7, რეზიუმე

„გარდა ამისა, საქართველოს ხელისუფლებამ დანერგა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის 2009-2014 წლების ეროვნული კონცეფცია და მასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმა. ეს უწყებათაშორისი ინტეგრაციის მექანიზმები მიზნად ისახავდა ისტორიულად ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობის გაუმჯობესებას ქვეყანაში და ფოკუსირდებოდა ექვს სტრატეგიულ მიმართულებაზე: კანონის უზენაესობა, განათლება და სახელმწიფო ენა, მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო ჩართულობა, სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია, კულტურის და თვითმყოფადობის შენარჩუნება“.

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

საქართველოს მთავრობა განმარტავს, რომ კონცეფცია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვის ხელშეწყობას, უზრუნველყოფს სამოქალაქო ინტეგრაციას და ხელს უწყობს ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

2) გვ. 7, რეზიუმე

„სიძულვილის ენის გამოყენება ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების, ასევე, ლგბტ პირების მიმართ, კვლავ გავრცელებული პრობლემაა საქართველოში. ასევე აღსანიშნავია ამ ჯგუფების წინააღმდეგ ფიზიკური თავდასხმების შემაშფოთებელი

[1] 1227-ე შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილება მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს ევროპის საბჭოს ორგანოების შეუზღუდავი შესვლა იმ ტერიტორიებზე, რომელთაც საქართველოში მომხდარი კონფლიქტი შეეხო და ხაზს უსვამს ევროპის საბჭოს სამონიტორინგო ორგანოების მნიშვნელობას, რათა მათ გაწიონ დამატებითი ძალისხმევა საქართველოს რეგიონებში – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში – შესვლის უზრუნველსაყოფად.

სიხშირე. ძალადობრივი საპროტესტო აქციების შედეგად იზღუდება მუსლიმებისა და იეჰოვას მოწმეების რელიგიის თავისუფლება. ქართულ საზოგადოებაში ასევე არსებობს ზოგადი ჰომო და ტრანსფობიური კლიმატი. ლგბტ ჯგუფები არაერთხელ გამხდარან თავდასხმის სამიზნე, კერძოდ, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღნიშვნასთან დაკავშირებული მოვლენების დროს“.

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) უკანასკნელი წლების ოფიციალური სტატისტიკის შესაბამისად, არ არსებობს საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მოცემულ ქმედებებს ადგილი აქვს საგანგაშო სიხშირით. შსს-ის შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები თან ერთვის დოკუმენტს *(დანართი)*.

იქიდან გამომდინარე, რომ ანგარიში მოიცავს ვითარებას 2015 წლის 17 ივნისამდე, სამართლიანი იქნება, აღინიშნოს, რომ 2014 და 2015 წლებში 17 მაისს, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს არავითარ კონფრონტაციას ადგილი არ ჰქონია.

3) გვ. 7, რეზიუმე

„აგრეთვე, სახელმწიფოს მხრიდან აქციის აგრესიული მონაწილეებისგან ვერ იქნა დაცული ლგბტ ორგანიზაციების უფლება გაემართათ მშვიდობიანი საჯარო შეკრება. ამის ნაცვლად, უფლებამოსილმა პირებმა ლგბტ პირებისა და მათი მხარდამჭერების მხოლოდ უსაფრთხო ადგილას გადაყვანაზე იზრუნეს“.

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

საქართველოს მთავრობა განმარტავს, რომ 17 მაისის მანიფესტაციების მიმდინარეობისას და მის შემდეგ განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს გამართულ დემონსტრაციებთან მიმართებით, წარსული გამოცდილების გათვალისწინებითა და 2013 წლის 17 მაისს ვითარების ესკალაციის შესაძლებლობიდან გამომდინარე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო პრევენციული ზომები და გამართა მოლაპარაკებები დემონსტრანტების ორივე ჯგუფთან – ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებთან. მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ჯგუფები გამართავდნენ მანიფესტაციას გამოყოფილ ადგილებში. საერთაშორისო დღის მოწინააღმდეგე დემონსტრანტები შეიკრიბნენ პარლამენტის შენობის წინ, ხოლო „იდენტობისა“ და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტები – თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე.

17 მაისს შინაგან საქმეთა მინისტრი, ბატონი ღარიბაშვილი, თავად იმყოფებოდა თავისუფლების მოედანსა და პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მის მოადგილეებთან ერთად, რათა დაპირისპირებული შეკრების ლიდერებს შორის ეწარმოებინა მოლაპარაკებები და თავიდან აეცილებინა დემონსტრანტების მხრიდან ნებისმიერი ძალადობა.

აქტიური სატელევიზიო გაშუქებისა და სოციალური მედიასაშუალებებით მოქმედებისკენ მოწოდების შედეგად, ნაცვლად მოსალოდნელი 2,500-3,000 პირისა, დემონსტრაციაში მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდა 35,000-40,000-მდე.

პოლიციის 3 კორდონი იყო მობილიზებული დემონსტრანტებისა და მათი მოწინააღმდეგეების განსაცალკევებლად.

მანიფესტაციის მიმდინარეობისას შსს-მ განცხადება გააკეთა და ურჩია მოქალაქეებს, თავი შეეკავებინათ თბილისის ცენტრალურ ქუჩებში გადაადგილებისგან და ემოქმედათ კანონის სრული დაცვით.

ოპოზიციური მანიფესტაციის მასშტაბებისა და მისი აგრესიული ხასიათის გათვალისწინებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰქონდა ორი არჩევანი: 1) გამოეყენებინა სპეციალური საშუალებები (წყლის ჭავლი, რეზინის ტყვიები, ცრემლსადენი გაზი და სხვ.), რაც ვითარების შემდგომ ესკალაციასა და მონაწილეების დაშავებას გამოიწვევდა, ან 2) მოეხდინა ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის მხარდამჭერების ევაკუაცია სპეციალურად გამოყოფილი სატრანსპორტო საშუალებებით წინასწარ შემუშავებული ევაკუაციის გეგმის შესაბამისად.

არსებული ვითარების გათვალისწინებით, საუკეთესო შედეგის მისაღწევად შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულმა სამსახურმა აირჩია მეორე გზა და ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის მხარდამჭერი დემონსტრანტები ევაკუირებულ იქნენ თავისუფლების მოედნიდან წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად. თითოეულ სატრანსპორტო საშუალებას ახლდნენ სამართალდამცავი ორგანოს ხელმძღვანელი თანამშრომლები.

პრემიერ-მინისტრმა, პარლამენტის თავმჯდომარემ და სხვა მაღალი თანამდებობის პირებმა დაგმეს მოწინააღმდეგეთა დემონსტრაციის აგრესიული ხასიათი და განაცხადეს, რომ საზოგადოების ერთი ჯგუფის უფლებების დარღვევა მეორე ჯგუფის მიერ არ იქნებოდა შეწყნარებული. შესაბამისად, სრულად იქნებოდა გამოძიებული.

2013 წლის 24 მაისს ორი ურთიერთსაპირისპირო მანიფესტაცია ჩატარდა დედაენის ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე, ერთი მხრივ, ადამიანის უფლებათა აქტივისტების მიერ ლოზუნგით – „არა თეოკრატიას“ ხოლო, მეორე მხრივ, მანიფესტაცია დაიგეგმა ეკლესიის მხარდამჭერების მიერ. პოლიცია მობილიზებულ იქნა და მანიფესტაციები შეუფერხებლად გაიმართა. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, რომლებიც მოცემულ მანიფესტაციებს ესწრებოდნენ, პოლიციამ უზრუნველყო შეკრების თავისუფლება.

<u>დამოუკიდებელი შეფასებები:</u>

კონსტიტუციური და სამართლებრივი რეფორმისა და ადამიანის უფლებების საკითხებზე ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა საქართველოში, ბატონმა ტომას ჰამერბერგმა, ისაუბრა მოცემული მოვლენის შესახებ და შეაფასა პოლიციის ქმედებები ვიდეოჩანაწერებზე დაყრდნობით. მან გააკეთა კომენტარი იმ ფაქტზე, რომ რიგი პოლიციელებისა დაშავდა დემონსტრაციის მიმდინარეობისას, როდესაც შეიმჩნეოდა ხალხის დიდი ნაკადის მოდინება, რამაც შექმნა ვითარებაზე კონტროლის დაკარგვის საფუძველი. საერთო ჯამში, ბატონმა ჰამერბერგმა დადებითად შეაფასა პოლიციის ქმედებები დემონსტრაციის მსვლელობისას და მათი მზადყოფნა – თავიდან აერიდებინათ შემდგომი გართულებები. მისი შეფასების შესაბამისად, ამ ზომების მიუღებლობის შემთხვევაში, დადგებოდა უარესი შედეგი. შესაბამისად, პოლიციის დადანაშაულება მომხდარში უსამართლობა იქნებოდა.

მეტიც, შსს-ის თანამშრომლების წინდახედულობა და მაღალი პროფესიონალიზმი საჯარო წესრიგის დამყარების ნაწილში დადებითად იქნა შეფასებული გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის მიერ.

რაც შეეხება სამოქალაქო საზოგადოების შეფასებას, შსს-ის მიერ დემონსტრანტების დასაცავად განხორციელებული ქმედებები დადებითად შეაფასა „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრმა“.

რასისტული და ჰომო-/ტრანსფობიური ძალადობა

რელიგიური უმცირესობების წინააღმდეგ მიმართული თავდასხმები

4) გვ. 17, პუნქტი 49

„2014 წლის ოქტომბერში მუსლიმებმა მოხეში გააპროტესტეს ძველი მეჩეთის დანგრევა, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებას ბიბლიოთეკად უნდა ექცია. ნაცვლად მცდელობისა, რომ დავა მოგვარებულიყო მშვიდობიანად, აქციის მონაწილენი პოლიციამ ძალის გამოყენებით დაშალა, ასევე მათ მიმართ დაკავებისას სავარაუდოთ გამოყენებულ იქნა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა“.

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

არსებული მონაცემების შესაბამისად, მოხეში სადავო შენობას არასდროს ჰქონდა აქტიური რელიგიური ობიექტის სტატუსი. საბჭოთა კავშირის პერიოდში შენობამ მოიპოვა თემის ცენტრის სტატუსი და სწორედ ამ სტატუსით გადაეცა ის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ადგილობრივ მუნიციპალიტეტს 2007 წელს.

ადგილობრივმა მოსახლეობამ გააპროტესტა სამშენებლო სამუშაოები და შეაფერხა კომპანიის საქმიანობა. საჯარო წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით ადგილზე მობილიზებული იყვნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის მთავარი რეგიონული განყოფილების თანამშრომლები.

სამართალდამცველები აკონტროლებდნენ პერიმეტრს, რათა თავიდან აეცილებინათ ნებისმიერი კონფრონტაცია. ნაცვლად დემონსტრანტების დაშლისა, პოლიცია ეცადა, დაეცვა მომუშავეები, რომელთაც შეკრებილები ქვებს ესროდნენ. მათ მოუწოდეს შეკრებილებს წესრიგის დაცვისა და სიმშვიდის შენარჩუნებისაკენ, თუმცა, მოქალაქეებმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს პოლიციის თანამშრომლებს და დააზიანეს პოლიციის სატრანსპორტო საშუალებები.

მოცემულ შემთხვევაში, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 166-ე მუხლისა (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე მუხლის (პოლიციის კანონიერი განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობა) შესაბამისად, დააკავეს 11 ადამიანი. 3 ადამიანი დამატებით დაკავებულ იქნა „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 353(2)-ე მუხლის შესაბამისად (პოლიციისადმი წინააღმდეგობის გაწევა, ჩადენილი ჯგუფურად).

ცალკე სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო პოლიციის თანამშრომლების წინააღმდეგ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 333(1) მუხლის საფუძველზე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება). გამოძიება კვლავაც მიმდინარეობს იმის დასადგენად, ნამდვილად გამოიყენეს თუ არა პოლიციის თანამშრომლებმა სიტყვიერი და ფიზიკური ძალადობა მოსახლეობის წინააღმდეგ დაკავებისას.

5) გვ. 17, პუნქტი 49

„2014 წლის სექტემბერში, ქობულეთში მუსლიმი ბავშვებისთვის ახალი სკოლის გახსნა ძალადობრივად გააპროტესტა ადგილობრივმა მოსახლეობამ. მათ დაბლოკეს შესასვლელი და ემუქრებოდნენ სკოლაში დასაქმებულებსა და ბავშვებს, სკოლის კარზე კი ღორის თავი მიაჭედეს“.

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

მოცემულ საქმეზე გამოძიება დაიწყო „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 151-ე მუხლის საფუძველზე (მუქარა). ამ დრომდე ტარდება რიგი

საგამოძიებო მოქმედებებისა, მოწმეთა დაკითხვის თუ ცალკეული ობიექტის დათვალიერების ჩათვლით; ასევე, დაინიშნა ექსპერტიზა. ამ ეტაპზე გამოძიება კვლავ მიმდინარეობს.

6) გვ. 17, პუნქტი 49

„2013 წლის აპრილში 3 სამხედრო პოლიციელი ემუქრებოდა ქობულეთის ახლოს მდებარე სოფლის მოსახლეობას და აჩერებდნენ მანქანებს მუსლიმების ძიებაში. ისინი ითხოვდნენ ჯვრების ჩვენებას იმის ნიშნად, რომ პირები ქრისტიანები იყვნენ“.

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

კომპეტენტურმა ორგანოებმა დაუყოვნებლივ დაიწყეს გამოძიება მოცემულ ფაქტზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ციხისძირში. 3 სამხედრო პოლიციელს წარედგინა ბრალი, რომლებიც ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ დამნაშავედ იქნენ ცნობილნი. მოცემული გადაწყვეტილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა.

7) გვ. 17, პუნქტი 50

„2013 წლის აგვისტოში, მინარეთის მოხსნამ ჭელაში გამოიწვია დაპირისპირება ადგილობრივ მუსლიმებსა და პოლიციას შორის. უფლებამოსილი პირები აცხადებდნენ, რომ მინარეთი შემოტანილ იქნა თურქეთიდან საბაჟო წესების დარღვევით. შესაბამისად, მინარეთი მოხსნილ იქნა პოლიციის მიერ.“

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

მოცემულ საკითხზე დაიწყო გამოძიება, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ მინარეთის გადატანის პროცესში ადგილობრივმა მუსლიმებმა წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას, არ დაემორჩილნენ მათ კანონიერ მოწოდებებს და გამოიყენეს ძალადობა მათ წინააღმდეგ. შედეგად, 3 მოქალაქე ბრალდებულ იქნა „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 353(2)-ე მუხლის საფუძველზე (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ). საბოლოოდ, სანქციის სახით, მათ დაეკისრათ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

8) გვ. 17, პუნქტი 50

„ადგილობრივი მუსლიმების ნაწილი, რომელთაც არათანაზომიერი მოპყრობა გააპროტესტეს, დაკავებულ იქნა“.

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

ადგილობრივი მუსლიმების ნაწილმა გამოიყენა ძალადობა პოლიციის წინააღმდეგ, სწორედ ამიტომ 3 ადამიანი დაპატიმრებულ იქნა „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 353(2)-ე მუხლის საფუძველზე (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ). სანქციის სახით, მათ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა დაეკისრათ.

9) გვ. 17, პუნქტი 50

„სამთაწყაროში (2013), ნიგვზიანსა და წინწყაროში (2012) მართლმადიდებლები თავს დაესხნენ მუსლიმ მლოცველებსა და სასულიერო პირებს და დაბლოკეს სალოცავი ადგილები. ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილმა და მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებმა მხარი დაუჭირეს მათ“.

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

სამთაწყაროში, ნიგვზიანსა და წინწყაროში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით გამოძიება დაუყოვნებლივ დაიწყო და რიგი საგამოძიებო მოქმედებებიც განხორციელდა, კერძოდ, დაიკითხნენ მოწმეები, ჩატარდა შესაბამისი ექსპერტიზა. გამოძიება ამ დრომდე მიმდინარეობს.

ჰომო-/ტრანსფობიური ძალადობა

10) გვ. 18, პუნქტი 54

„ადგილი აქვს არაერთ მუქარას ლგბტ აქტივისტების მიმართ. 2015 წლის იანვარში „იდენტობას“ და მის თანამშრომლებს სოციალური ქსელების მეშვეობით ემუქრებოდნენ. მათ უკვე მიღებული ჰქონდათ სიკვდილის მუქარა 2012 და 2013 წლებში. 2013 წლის თებერვალში ქალთა ფონდი – პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოში, რომელიც ღიად უჭერს მხარს ლგბტ ჯგუფებს, იძულებული გახდა, ოფისები შეეცვალა იმის გამო, რომ მეზობლები მათ თანამშრომლებს ემუქრებოდნენ“.

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

2015 წლის 9 იანვარს ძველი თბილისის განყოფილების (თბილისის მთავარი განყოფილება) მე-7 სამმართველოში შევიდა ორგანიზაცია „იდენტობის“ იურისტის საჩივარი, რომელიც მის მიმართ გამოყენებულ მუქარის ფაქტებს ეხებოდა. სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო გამოძიება „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 151-ე მუხლის საფუძველზე (მუქარა). ამ დრომდე განხორციელდა რიგი საგამოძიებო მოქმედებებისა: დაიკითხნენ მოწმეები, დაინიშნა შესაბამისი ექსპერტიზა. გამოძიება ამჟამადაც მიმდინარეობს.

11) გვ. 18, პუნქტი 55

„2013 წლის 17 მაისს განხორციელდა ჰომოფობიასა და ტრანსოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან (IDAHO) დაკავშირებული აქციის დარბევა აგრესიული ჯგუფის მიერ, რომელთა შორის იყვნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურები. დარბევის შედეგად რამდენიმე ადამიანი დაშავდა. ჯერ კიდევ 2012 წელს IDAHO მარშის მონაწილეებს, ასევე, თავს დაესხნენ რადიკალური რელიგიური ჯგუფის წევრები, რის შედეგადაც მძიმედ დაშავდა მინიმუმ ორი პირი“.

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

2013 წლის 17 მაისს გამოძიება დაწყებულ იქნა სისხლის სამართლის იმ საქმეზე, რომელიც ეხებოდა რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებს, როდესაც რამდენიმე პირს დაუზიანდა ჯანმრთელობა. მოცემული დანაშაული გათვალისწინებულია „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. იმავე დღეს შესაბამისმა პოლიციის განყოფილებებმა დაიწყეს გამოძიება 6 სხვა სისხლის სამართლის საქმეზე.

გამოძიების მიმდინარეობისას ბრალდება წარედგინა 5 პირს, მათ შორის, 2 სასულიერო პირს „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექის“ 161-ე მუხლის საფუძველზე (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების დარღვევა).

2013 წლის 1 აგვისტოს ერთ-ერთი სასულიერო პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა წინასასამართლო სხდომაზე, სხვა საქმეები კი სასამართლოს გადაეცა არსებითად განხილვისათვის.

საქართველოს პროკურატურამ გამოძიების შეწყვეტის შესახებ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში,

თუმცა, ამ უკანასკნელმა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

2015 წლის 23 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ყველა ბრალდებული გამართლებულ იქნა. პროკურატურამ მოცემული გადაწყვეტილება გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელიც მოცემულ ეტაპზე იხილება.

12) გვ. 19, პუნქტი 60

„ქობულეთში საპროტესტო აქციებს პოლიციაც ესწრებოდა, მაგრამ პასიური დამკვირვებლის როლში რჩებოდა. ECRI-ს მიერ ხელისუფლებისგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, პოლიციას ნაბრძანები ჰქონდა, თავიდან აეცილებინა კონფლიქტის განვითარება, მაგრამ არ ყოფილა მითითება, რათა მათ უზრუნველეყოთ სკოლა-პანსიონის გახსნა. პროკურატურამ გამოძიება დაიწყო მხოლოდ მუქარის ნაწილში და ანგარიში არ გაუწევია რელიგიური სიძულვილის მოტივისთვის. თბილისში სომეხ მღვდელზე თავდასხმაც ასევე გამოძიებულ იქნა რელიგიური სიძულვილის მოტივის გათვალისწინების გარეშე“.

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

ქობულეთში მომხდარი ინციდენტისას პოლიცია მობილიზებული იყო და აკონტროლებდა პერიმეტრს 24 საათის განმავლობაში, რათა უზრუნველეყო წესრიგი და თავისუფალი გადაადგილება როგორც სკოლის შენობაში, ისე სკოლის შენობიდან. როგორც სომეხი მღვდლის საქმეში, მოცემულ საქმეში გამოძიებამ გამოააშკარავა, რომ არ არსებობდა რელიგიური მოტივი. მიუხედავად იმისა, რომ დავა, რომელიც თავდაპირველად დაიწყო ავტოსადგომის ტერიტორიაზე, გაგრძელდა სომხური ეკლესიის წინ, განმცხადებელი ლევონ ისხანიანი არ ატარებდა რელიგიურ ჩაცმულობას, შესაბამისად, მოცემული ფაქტი შეუძლებელს ხდიდა იმის იდენტიფიცირებას, რომ ის მღვდელი იყო. გარდა ამისა, ჩხუბში ჩაერთო ათობით ადამიანი.

13) გვ. 20, პუნქტი 63

„2013 წლის მკვლელობის ფაქტი პოტენციურ ჰომოფობიურ ნიადაგზე გამოძიებული იყო, როგორც ყაჩაღობა, და არ იქნა ნახსენები დანაშაულის ჩადენის რეალური მოტივი“.

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

საქმის ყოველმხრივი შესწავლის შედეგად, პოლიციამ გამორიცხა ჰომოფობიური მოტივის არსებობის შესაძლებლობა. გამოძიების დეტალები ვერ გასაჯაროვდება, მოცემული საქმის სენსიტიურობიდან გამომდინარე.

14) გვ. 20, პუნქტი 65:

„ხელისუფლებამ შეატყობინა ECRI-ს, რომ 84-მა სამართლის სპეციალისტმა, მათ შორის, მოსამართლეებმა და პროკურორებმა, გაიარეს ტრენინგი ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობის კუთხით 2014 წელს და რომ ყველა რეგიონში მუშაობს მინიმუმ ერთი პროკურორი, რომელსაც უკვე შესწავლილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლით დამამძიმებელ გარემოებათა გამოყენების ასპექტები. თუმცა, ხელისუფლება აღიარებს, რომ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით გეგმავს ტრენერების ტრენინგების პროგრამის ორგანიზებას სასამართლო და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისთვის“.

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

2015 წელს საქართველოს პროკურატურამ ევროპის საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობით დაგეგმა ტრენერების ტრენინგის პირველი ეტაპი, რომელიც ეხებოდა დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპულ სტანდარტებს (გენდერული თანასწორობა). მოცემულ ტრენინგებს დაესწრო 21 პროკურორი. მათ ჩაუტარდათ ტრენინგები დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოსა და საგამოძიებო ტაქტიკაზე, რომელიც არსებითია მსგავს საქმეებში მტკიცებულებების შეგროვების თვალსაზრისით. ტრენინგები ჩატარდა ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით. ტრენინგების მეორე ეტაპი გაიმართება 2016 წლის თებერვალში.

ამასთან, საქართველოს პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველომ შეიმუშავა რეკომენდაცია, რომელიც ეხება „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 53-ე მუხლის მე-3[1] ნაწილს, ეს კი, თავის მხრივ, აღწერს დანაშაულის ჩადენას სიძულვილის მოტივით როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას. რეკომენდაცია ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კვალიფიკაცია, საგამოძიებო პროცესი, ასევე, შესაბამისი სტატისტიკური მონაცემებისა და მტკიცებულებების შეგროვება. აღნიშნული რეკომენდაცია უკვე შეფასდა ევროკავშირის ექსპერტის მიერ და გავრცელდა პროკურატურის თანამშრომლებს შორის 2016 წლის 22 იანვარს.

15) გვ. 21, 28 და 29; პუნქტები 69, 70, 106 და 108

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

არსებობს რიგი ღონისძიებებისა, რომელთა საშუალებითაც მასწავლებლები ინფორმირებული არიან „სიძულვილის ენის“ შესახებ. სამოქალაქო განათლების მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში, ზოგად და შემდეგ საფეხურზე, რიგი საკითხებისა შესულია პროფესიული ცოდნის კომპონენტში, კერძოდ: ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ძირითადი დოკუმენტები; ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები, რომლებიც ფოკუსირებულია უმრავლესობაზე, უმცირესობებსა და მოწყვლად ჯგუფებზე; ასევე, თანასწორობა და დისკრიმინაცია, სტერეოტიპები, ტოლერანტობა, ლტოლვილები, განათლება და მისი ხელმისაწვდომობა. სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისათვის ტრენინგმოდულები დაიგეგმა 2010 წლიდან, სადაც შესულია ზემოთ ხსენებული საკითხები. მასწავლებლებს ტრენინგები სწორედ მოცემული ტრენინგმოდულებით ჩაუტარდათ. ტრენინგმოდულები არაქართველი მასწავლებლებისათვის (სომხური, აზერბაიჯანული, რუსულენოვანი სკოლები) 2015 წელს შემუშავდა. ტრენინგმოდული მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ტოლერანტობა, სტიგმა და სტერეოტიპი, ძალადობა – ბავშვების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობა, მუქარა;
- კონფლიქტი;
- კულტურათაშორისი ურთიერთობები.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დანერგა „საზაფხულო სკოლების“ პროგრამა, რომელიც მოიცავს „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლას“ და „საზაფხულო სკოლას მომავალი ლიდერებისათვის“. ყოველწლიურად 700-მდე ბავშვი მონაწილეობს დასახელებულ პროგრამაში. ღონისძიებების ერთ-ერთ მიზანს სკოლის მოსწავლეებში სიძულვილის ენის აღმოფხვრა წარმოადგენს, ასევე, კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების სწავლება. 2014 წელს განათლებისა და

მეცნიერების სამინისტროს მიერ მოსწავლეებისთვის სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე, თანასწორობაზე, ტოლერანტობასა და ძალადობაზე შემდეგი კონკურსები: 1. ვიდეოების კონკურსი თემაზე – „ნაბიჯი მხარდასაჭერად“; 2. ესეების კონკურსი თემაზე – „ნაბიჯი მხარდასაჭერად“ და 3. ბლოგების კონკურსი თემაზე – „ჩვენ ვიცავთ ჩვენს თანატოლებს“.

2015 წელს „სასკოლო კონკურსების“ ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართა ვიდეორგოლების კონკურსი თემაზე – „ევროპა ჩემი ობიექტივიდან“, რაც მიზნად ისახავს სკოლის მოსწავლეების ხელშეწყობას, აღიქვან ევროპული ღირებულებების მნიშვნელობა და არსი ქართულ სივრცეში, ასევე, თავად წარმოაჩინონ საკუთარი ხედვა ევროპულ ღირებულებებზე, ძალადობის, თანასწორობისა და ტოლერანტობის ჩათვლით.

2013 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უშუალოდაა ჩართული ევროპის საბჭოს საპილოტე პროექტში – „ადამიანის უფლებები და დემოკრატია“. მოცემული პროექტის სხვა მონაწილეები არიან: ლიტვა, ბელარუსი და რუსეთი. პროექტი ითვალისწინებს მასწავლებელთა ტრენინგპროგრამის დამატებითი სასწავლო მასალის განვითარებას. თითოეულ სახელმწიფოს სამუშაოდ ეძლევა განსაზღვრული თემა. 2014 წელს საქართველომ მუშაობდა შემდეგ საკითხებზე: 1. კულტურათაშორისი ურთიერთობები; 2. დისკრიმინაციასთან ბრძოლა და 3. სიძულვილის ენა.

პროექტის ფარგლებში საქართველომ მოამზადა 3 პროექტი: 1. კვირის კალენდარი; 2. ანტიდისკრიმინაციული მედია და 3. „არა სიძულვილის ენას“ (კომიქსები). სამივე პროექტმა მოწონება დაიმსახურა. აღინიშნა, რომ საქართველო იყო ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც უზრუნველყო იმ მასალის მოწოდება, რომელიც ზუსტად პასუხობდა ევროპის საბჭოს მოთხოვნებს. რესურსები იყო მეტად კრეატიული და მომავალში იძლეოდა სხვა სახელმწიფოების მიერ მათი გამოყენების შესაძლებლობას. პროექტის ფარგლებში შემუშავდა მეთოდოლოგიური ინსტრუმენტი. მან მოიცვა თეორიული მიმოხილვა და რეკომენდაციები ზემოხსენებული 3 პრაქტიკული პროექტისათვის. თეორიული და პრაქტიკული ნაწილები ფოკუსირდა სტუდენტების უნარებზე ისე, რომ შესძლებოდათ დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენის იდენტიფიცირება და თავიდან აცილება, ასევე, განევითარებინათ ინტერკულტურული საკომუნიკაციო უნარები.

საქართველოს უნივერსიტეტების კურიკულუმებში ასახული სასწავლო კურსები ითვალისწინებს ცნობიერების ამაღლებას რასისტულ და ჰომო-/ტრანსფობიურ სიძულვილთან დაკავშირებით, ასევე, ტოლერანტობის განვითარებას. მოცემული კურსებია: „სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინსტიტუტი“, „პოლიტიკასა და რელიგიას შორის ურთიერთობების ფუნდამენტური კონცეფციები“, „დემოკრატია და დემოკრატიზაცია“ და სხვ.

ტერმინი „ლგბტ“ არ არის ნახსენები ეროვნულ სასწავლო კურსში, როგორც დამოუკიდებელი ტერმინი, თუმცა, ტოლერანტობისა და სხვათა რწმენისა თუ ამა თუ იმ ჯგუფისადმი მიკუთვნების თავისუფლების პატივისცემა გათვალისწინებულია სოცალურ მეცნიერებათა ჯგუფის საგნების სასწავლო პროგრამაში.

2014 წლიდან აქტიურ განახლებას განიცდის ეროვნული სასწავლო კურსი (2011-2016), სადაც სოციალური მეცნიერების ჯგუფის საგნები იქნება შეთავაზებული გაცილებით სრული ოდენობით. შესაბამისად, წახალისდება და მხარი დაეჭირება

ადამიანის უფლებათა, ტოლერანტობის ამაღლებისა და ყველა ტიპის უმცირესობათა პატივისცემის სწავლებას.

ამ ეტაპზე სოციალურ მეცნიერებათა სტანდარტი საწყის საფეხურზე უკვე შემუშავებულია, სადაც გენდერული საკითხები გაცილებით ფართოდაა წარმოადგენილი. ახალი სასწავლო პროგრამის მიხედვით (განსხვავებით 2011-2014 წლების სასწავლო პროგრამისგან) სოციალური სწავლება იწყება მესამე კლასიდან: ა) III-IV კლასებში იგეგმება ახალი საგნის შემოღება – „მე და საზოგადოება“, რომელშიც ერთ-ერთი სფეროა სოციოკულტურული განვითარება და მოქალაქეთა მხარდაჭერა ისეთი ადამიანური ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის, როგორიცაა: სხვათა უფლებების პატივისცემა, ტოლერანტობა, თანასწორობა და ისეთი მოქალაქეების აღზრდა, რომელთაც ესმით ზოგადი წესების მნიშვნელობა და კონფლიქტურ ვითარებაში არაძალადობრივი საშუალებებით მოქმედება; ბ) V-VI კლასებში ისწავლება საგანი „ჩვენი საქართველო“, რომელიც ფოკუსირდება ისეთ თემებზე, როგორიცაა: როგორ უნდა აღვუდგეთ წინ ქმედებებს, რომლებიც საზიანოა საზოგადოებისთვის (მაგალითად, ნებისმიერი სახის უმცირესობათა იგნორირება, დისკრიმინაცია, არაჯანსაღი ცხოვრების წესი და აგრესიული ქმედებები (დაშინება, რასიზმი და ა.შ) და როგორ უნდა დავიცვათ თანატოლებისა თუ ჩვენი უფლებები არაძალადობრივი გზით).

ზემოდასახელებული საგნების საშუალებით ტოლერანტობის, სხვათა უფლებებისა და არჩევანის თავისუფლება გაცილებით ხელშეწყობილი და მხარდაჭერილია.

ინტეგრაციის პოლიტიკა

16) პუნქტები 76, 78, 80, 82, 83, 86, 89

„განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქართული როგორც მეორადი ენის სწავლებას – საკითხი, რომლის გამოსწორების აუცილებლობა ხაზგასმულია ECRI-ს ბოლო მოხსენებაში. პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“, რომელიც 2011 წელს დაიწყო, მიზნად ისახავდა ქართული ენის ცოდნის გაუმჯობესებას ისტორიულად ეთნიკურ უმცირესობებში. მთავრობამ მხარი დაუჭირა 300 მასწავლებლის ერთი წლით გაგზავნას ეროვნულ უმცირესობათა რეგიონებში, რათა ესწავლებინათ ქართული ენა. ECRI-ს ასევე მიეწოდა ინფორმაცია, რომ მისი 2010 წლის პრიორიტეტული რეკომენდაციების თანახმად, ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ გადახედა მის პოლიტიკას 2014 წელს და განიხილა უმცირესობებისთვის ქართული ენის სწავლების რესურსები. შედეგად, 2014 წელს სკოლამ შესთავაზა 8 რეგიონულ ტრენინგცენტრს ქართული როგორც მეორადი ენის ძირითადი კურსი. თუმცა, ამას განვითარება არ მოჰყოლია და მიუხედავად იმისა, რომ ეს პროგრამები უდავოდ პოზიტიური ნაბიჯია, მასშტაბი მაინც არასაკმარისია“.

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესის გაძლიერების ხელშეწყობისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს ენასთან დაკავშირებულ პოლიტიკას, რომელიც მოიცავს ეთნიკურ უმცირესობათა სტუდენტების ენობრივ საჭიროებებს. ზემოთქმულთან დაკავშირებით, განხორციელდა ქვეპროგრამა 5 – „ენის სწავლება-განათლების ხარისხი“ (დამტკიცდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №220 ბრძანებით), რომელიც მიზნად ისახავდა ენის სწავლების პოლიტიკის საერთო ხედვის განვითარებასა და უმცირესობათა ენების სწავლების ახალი მოდელის

დანერგვას როგორც ქართულ, ისე უმცირესობათა სკოლებში/სექტორებში, რათა მხარდაჭერილ იქნეს ეთნიკურ უმცირესობათა ენობრივი საჭიროებები და გაუმჯობესდეს მათი განათლების ხარისხი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო ეთნიკური უმცირესობებისთვის ეროვნული ენის სტანდარტზე მუშაობა (მოიცავს, მოსმენის, კითხვისა და წერის კომპონენტს), რომელიც დაინერგება ეროვნულ სასწავლო პროგრამაში. ეს იქნება კონკრეტული პროგრამების საფუძველი აზერბაიჯანული, სომხური და რუსული ენებისათვის. გარდა ამისა, დაიწყო მცირე ჯგუფებში წარმოდგენილ ეთნიკურ უმცირესობათა ენების საერთო სტანდარტის შემუშავება. მეტიც, უკვე შეირჩა სკოლებიც, სადაც მოხდება მოცემული ენების შეტანა სასწავლო პროგრამაში.

2014 წლის მაისში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაიმართა ესეების კონკურსი თემაზე – „ქართული ენა ჩემი წარმატებისთვის“ („სკოლის შეჯიბრის ქვეპროგრამის“ ფარგლებში), რომელიც, თავის მხრივ, „განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისების“ პროგრამის ფარგლებში ექცევა (არსებობს არაქართული სკოლის მოსწავლეებისა და სკოლების არაქართული ნაწილის მოსწავლეებისთვის). მისი მიზანია ეთნიკურ უმცირესობათა მოსწავლეების მოტივაციის გაზრდა სახელმწიფო ენის შესასწავლად. კონკურსის ფარგლებში მოსწავლეებს მიეცათ შესაძლებლობა, დაეწერათ ესე, სადაც გამოხატავდნენ საკუთარ იდეებს სახელმწიფო ენის ცოდნის საჭიროებასთან დაკავშირებით. ამასთან, მათ მიეცათ შესაძლებლობა დისკუსიის გამართვის შესახებ, თუ რას ნიშნავს, იყო წარმატებული თანამედროვე საზოგადოებაში; რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ იყო წარმატებული ცხოვრებაში და როგორ დაეხმარებოდათ ქართული ენის ცოდნა მათ ამ მიზნის მიღწევაში. 40-მა მოსწავლემ და 40-მა მასწავლებელმა, რომელთაც გაიმარჯვეს მოცემულ კონკურსში, მიიღეს მონაწილეობა „საქართველოში ქართული ენის საერთაშორისო საზაფხულო სკოლის“ ღონისძიებაში, რომელიც გათვალისწინებულ იქნა „საზაფხულო სკოლების პროგრამით“.

2015 წლის მაისში „ნიჭიერი მოსწავლეების წახალისების“ პროგრამის „სკოლის კონკურსების ქვეპროგრამის“ ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამოაცხადა ესეების კონკურსი თემაზე – „ჩემი კულტურა და ტრადიცია.“ მისი მიზანი იყო ინტერკულტურული დიალოგებისა და ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართული ენის სწავლების წახალისება, ისევე, როგორც მათ მიერ ქართული ენის სწავლა. კონკურსის პირველი 50 გამარჯვებული და მათი 50 მასწავლებელი მონაწილეობას მიიღებს „ეთნიკურ უმცირესობათათვის მულტიკულტურული საზაფხულო სკოლის“ ღონისძიებაში, რომელიც გათვალისწინებულია „საზაფხულო სკოლების პროგრამით“.

„მულტიკულტურული საზაფხულო სკოლა ეთნიკური უმცირესობებისთვის“ მიზნად ისახავს ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობას და მათ ჩართულობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში.

2014 წელს ოსური ენის შესწავლა დაიწყო ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, ფონასა და არეშფერანის სოფლებში, ასევე, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ წიწკანაანთსერში. პროექტი „საუნჯე“ დაიწყო გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ თაზაქენდის საჯარო სკოლაში. მოცემული პროექტის ფარგლებში სკოლის ბიბლიოთეკა განახლდა ქართული მხატვრული ლიტერატურით.

2015 წელს „ზოგადი განათლების ხელშეწყობის“ პროგრამის „სასკოლო ინიციატივების ქვეპროგრამის“ ფარგლებში რამდენიმე პროექტი დაფინანსდა

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლებში – დუისში, ბირკიანში, დუმასტურში, ჯოყოლოსა და ომალოში. მოცემულ ფარგლებში იგეგმება ქართული ცეკვისა და სიმღერის, ასევე, ფეხბურთის წრეების შემოღება. გარდა ამისა, დუისისა და ომალოს საჯარო სკოლებში გაიხსნა სქელი თექის წარმოებისა და ქართული კულტურის სწავლების წრეები.

2015 წლის 1 ივნისს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ თბილისში ჩამოიყვანა ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი მოსწავლეები სამცხე-ჯავახეთიდან, ქვემო ქართლიდან და პანკისიდან. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მათ მოინახულეს ქ. თბილისის ღირსშესანიშნაობები და დაესწრნენ კულტურულ ღონისძიებებს.

ასევე, დაგეგმილია ექსპერტის დაქირავება ეთნიკურ უმცირესობათა ზოგადი განათლების სფეროში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. ექსპერტის ზედამხედველობით ჯგუფი იმუშავებს ეთნიკური უმცირესობებისთვის განათლების პოლიტიკის შემცველ დოკუმენტზე.

2010 წლიდან დაინერგა ქართული ენის სპეციალური მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამა ეთნიკურ უმცირესობათა მიერ უმაღლესი განათლების მიღების წახალისების მიზნით. პროგრამაში ჩართვა შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამოცდის შედეგების მიხედვით – ზოგადი უნარების ტესტებით აზერბაიჯანულ, სომხურ, აფხაზურ და ოსურ ენებზე. გარდა ამისა, პირებს მოეთხოვებათ ქართულად წერის, კითხვის, მოსმენისა და საუბრის ცოდნა იმ ფარგლებში, რა საზღვრებშიც ეს ცოდნა მათ მისცემთ შემდგომი სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას ქართულად. სტუდენტებისთვის პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სწავლის საფასური უზრუნველყოფილია, რაც მოიცავს ერთი წლის განმავლობაში ქართულის ენის სპეციალური მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამის ღირებულებასა და 4-წლიან სწავლას ბაკალავრიატის საფეხურზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ეთნიკური უმცირესობებისათვის სახელმწიფო ენის შესწავლის სისტემატურ პოლიტიკას ახორციელებს, რათა აღმოფხვრას არსებული გამოწვევა – ეთნიკური უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არასაკმარისი ცოდნა. სამინისტრომ ამ მიზნით დანერგა ორი პროგრამა: „ასწავლე ქართული როგორც მეორე ენა“ და „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“.

პროგრამის – „ასწავლე ქართული როგორც მეორე ენა“ – ფარგლებში, რომელიც 2009 წელს განხორციელდა, კვალიფიციური ქართულის ენის მასწავლებლები გაიგზავნენ სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და კახეთის რეგიონში, სადაც გვხვდება ეთნიკური უმცირესობები. პროგრამის მიზანი იყო ქართული ენის გაკვეთილების ჩატარება; ასევე, სტუდენტებისთვის, მასწავლებლებისა და საზოგადოების წევრებისთვის ქართული ენის სწავლება; განხორციელება აქტივობებისა, რომლებიც სასწავლო პროგრამით არ იყო გათვალისწინებული; საზაფხულო ბანაკების მოწყობა, პროგრამების გაცვლა და სხვ. 2011 წლიდან მხოლოდ სერტიფიცირებული მასწავლებელები იქნენ ჩართული მოცემულ პროგრამაში. პროგრამის ფარგლებში ქართული ენის კლუბები მოეწყო ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების 90 სკოლაში, 2014 წელს დამსწრეთა რაოდენობამ შეადგინა 3545 ადამიანი (2625 სტუდენტი; 484 მასწავლებელი და ადგილობრივი თემის 436 წარმომადგენელი).

პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ დაინერგა 2011 წლიდან, რომელიც ითვალისწინებს მოხალისე თანაშემწე-მასწავლებლის გაგზავნას ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. მოცემული პროექტის


ფარგლებში, 600-ზე მეტი თანაშემწე-მასწავლებელი გაიგზავნა რეგიონებში. მოცემული პროგრამის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენდა ქართულის, როგორც მეორე ენის, ახალი სამუშაო რვეულების დაბეჭდვა. 2013-2014 აკადემიური წლისთვის დაიბეჭდა და გამოიცა I-XII კლასების მოსწავლეების სამუშაო რვეულები, წიგნები და მასწავლებელთა წიგნები. თითოეული შეკვრა მოიცავდა CD დისკებსაც. საგანმანათლებლო პროცესის მეტი ეფექტურობისათვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განავითარა კომპიუტერული თამაშები სამუშაო რვეულების ხარისხის შესაბამისად. მოცემული თამაშები აიტვირთა ვებგვერდზე www.buki.ge. უმცირესობათა სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სახელმწიფოს მიერ სასწავლო საშუალებები დაურიგდათ უფასოდ.

2014 სასწავლო წლის დასაწყისში პროექტი დაიხვეწა (დაემატა გეოგრაფიისა და ისტორიის მასწავლებლების თანაშემწეები). კონკურსის შედეგად ქართული ენის 153 მასწავლებლიდან აირჩა 28 პირი და გაიგზავნა სკოლებში მასწავლებლების დასახმარებლად და სწავლების ორენოვანი მეთოდის გასაცნობად.

2015 კალენდარული წლის დასაწყისში ქართული ენისა და სხვა საგნების მასწავლებლების პროფესიული უნარების გაუმჯობესებისა და მეტი ეფექტურობის მიზნით 2 პროგრამა („ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ და „ასწავლე ქართული როგორც მეორე ენა“) გაერთიანდა ერთი სახელწოდებით – „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“.

ამჟამად მოცემული პროგრამის ფარგლებში 288 მასწავლებელი (200 მასწავლებლის თანაშემწე და 88 ტრენერ-მასწავლებელი) გაგზავნილია ეთნიკური უმცირესობების (სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონის) 228 სკოლაში.

2014 წელს მოსწავლეების შედეგები ქართულ ენაში სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე ასეთია (შენიშვნა: ეს მოსწავლეები სწავლობდნენ სკოლებში, სადაც პროგრამა „ასწავლე ქართული როგორც მეორე ენა“ დაინერგა):



მოსწავლეებმა, რომელთაც მიიღეს 6, 7, 8, 9 და 10 ქულა სკოლის გამოსაშვებ გამოცდებში (CAT)

2011	2014
10 ქულა 12%	10 ქულა 7%
9 ქულა 13%	9 ქულა 27%
8 ქულა 20%	8ქულა 23%
7 ქულა 19%	7 ქულა 21%
6 ქულა 27%	6 ქულა 18%
ჩაჭრილთა რაოდენობა 9%	ჩაჭრილთა რაოდენობა 4%

ზემოხსენებული პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია როგორც ტრენერ-მასწავლებლების, ისე თანაშემწე-მასწავლებლების რაოდენობის ზრდა. ტრენერ-მასწავლებლების არჩევის კონკურსი მოცემული ეტაპისთვის უკვე დასრულებულია. წინა წელთან შედარებით, რაოდენობა 9-ით გაიზარდა. მათი ვალია, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, კახეთის რეგიონის არაქართულ სკოლებში ადგილობრივ მასწავლებლებს ასწავლონ ქართული, როგორც მეორე ენა, პედაგოგიური საქმიანობის განვითარების, მათი პროფესიულ განვითარებასა და კარიერული წინსვლის სქემაში ინტეგრაციის მიზნით.

პროგრამის ფარგლებში ტრენერ-მასწავლებლების ახალი ჯგუფის შესარჩევი კონკურსი ჯერ კიდევ მიმდინარეობს. მათი რაოდენობის ზრდა განპირობებულია ახალი სასწავლო წლის სახელმწიფო ბიუჯეტითაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმამადგენლებს – 2015 წლის კურსდამთავრებულებს, რომელთაც გაიარეს ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს აკრედიტებულ უნივერსიტეტებში, მიეცათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღოთ თანაშემწე-მასწავლებლების შესარჩევ კონკურსსა და შემდეგ უკვე პროგრამაშიც.

2014 წელს დიდი სამუშაოები ჩატარდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის (ZSPA) მეშვეობით „ECRI“-ს რეკომენდაციების შესრულების კუთხით: არსებული სასწავლო რესურსები განახლდა, უმცირესობათა საჭიროებები განისაზღვრა და ჩამოყალიბდა პროგრამა, რომელიც პასუხობს სპეციალიზებული სამიზნე ჯგუფის – საჯარო სექტორში დასაქმებულ ეთნიკურ უმცირესობათა – ინტერესებს. ასევე, 2014 წელს საბაზისო ქართული ენის კურსი განვითარდა და პილოტირებულ იქნა საქართველოს 8 რეგიონში. 2015 წელს ZSPA კვლავ ვითარდება და 2015 წლის თებერვლიდან უზრუნველყოფს ქართული ენის კურსებს შემდეგ საფეხურებზე: A1, A2 და B1.

2014 წლის დასაწყისიდან ZSPA, ასევე, ატარებს საჯარო ადმინისტრირების კურსებს ეთნიკური უმცირესობებისთვის ქუთაისში. საჯარო სექტორში დასაქმებულმა ეთნიკური უმცირესობის 100-მდე წარმომადგენელმა მიიღო სარგებელი აღნიშნული კურსებიდან.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „სოციალური ჩართულობის ქვეპროგრამა“ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ზრდასრული პირების ჩართულობას, მათ

შორის, იმ პირებისა, რომლებიც მიეკუთვნებიან ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებს; ვისაც აქვს მეტყველების პრობლემები; ვისაც არ აქვს საქართველოს მოქალაქეობა. ქვეპროგრამა ქმნის ინდივიდუალური უნარების გამოვლენის შესაძლებლობას თანაბარ პირობებში თითოეული ბავშვისთვის, ვინც კი შეიძლება სირთულეებს გადააწყდეს სწავლის პროცესში.

სწავლებისა და მოსწავლეებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის მიზნით იმ მოზარდებისა და მათი თანატოლების ერთად შეკრება, რომლებიც წარმოადგენენ ეთნიკურ, ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობებს, ასევე, რომელთაც აქვთ მეტყველების პრობლემები ან არ არიან საქართველოს მოქალაქეები, მათი საერთო ინტერესების მონახვა და ერთობლივი ჩართულობა სკოლის აქტივობებში მათ თანატოლებთან ერთად, ბოშებსა და მესხებს აძლევს შესაძლებლობას, გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი მაქსიმალურად.

მხარდაჭერილია ბოშებისა და მესხი ბავშვების ჩართულობა ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მათ თანატოლებთან ერთად. ყოველივე ეს ორმაგი სარგებლის მომტანია, ვინაიდან წახალისებულია ბოშებისა და მესხი ზრდასრულების ინტეგრაციის პროცესი.

გაზრდილია ტოლერანტული მიდგომისა და პოზიციის ხარისხი საჯარო სკოლის მოსწავლეებს შორის მათი იმ თანატოლების მიმართ, რომელთაც განსხვავებული მრწამსი ან შესაძლებლობები აქვთ ან რომელნიც განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნებიან. ისინი, ვისაც ზემოხსენებული ქვეპროგრამის ფარგლებში ტრენინგები ჩაუტარდა, აღარ არიან ცუდად განწყობილნი მათი თანატოლების მიმართ (რომელნიც სხვა რელიგიის მიმდევრები არიან ან აქვთ განსხვავებული შესაძლებლობები, მეტყველების პრობლემები) და მათთან მეგობრულ დამოკიდებულებას ინარჩუნებენ, მიუხედავად ზემოდასახელებული განსხვავებებისა.

კულტურულმა აქტივობებმა ხელი შეუწყო თითოეული ბავშვის განსაკუთრებული მახასიათებლისა და ინტერესის წარმოჩენას, რაც წარმოადგენდა მთავარ მიზანს; ამასთან, მესხი და ბოშა ბავშვების მიმართ მიდგომა „ქველმოქმედება“ ჩანაცვლდა მიდგომით – „თანამშრომლობა“.

„სოციალური ჩართულობის ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში სრული სამოქალაქო ინტეგრაციის მიზნით წახალისებულია იმ მესხი მოსახლეობის განათლების ხელმისაწვდომობა და სახელმწიფო ენის შესწავლა, ვინც მე-20 საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან ყოფილი საბჭოთა კავშირის უფლებამოსილი პირების მიერ იძულებით გადაადგილებულ პირთა შთამომავალია.

2009 წლიდან დღემდე საქართველოში არსებული საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად „სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობის ქვეპროგრამაში“ ჩაერთო 125 რეპატრირებული და სტატუსის არმქონე მესხი. ქვეყნის დედაქალაქ თბილისში მათი რიცხვი 20-ს გაუტოლდა, ქალაქ ახალციხეშიც მათი რაოდენობა 20-ს შეადგენს, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ აბასთუმანში – 12-ს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ნასაკირალის დასახლებაში – 40-ს, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელუბანში – 5-ს, ხოლო სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში – 28-ს.

გარდა ამისა, 2009 წლიდან დღემდე „სამოქალაქო ჩართულობის ქვეპროგრამაში“ სრულად ჩაერთო 144 ბოშა. მათი რაოდენობა დედაქალაქში 11-ს გაუტოლდა, ქალაქ რუსთავში – 13-ს, ზუგდიდში – 7-ს, ფოთში – 14-ს, ქუთაისში – 21-ს,

დედოფლისწყაროში – 10-ს, ქობულეთში – 54-ს, ეწერში – 4-ს, ხოლო ზუგდიდის რეგიონში – 10-ს.

დაგეგმილი აქტივობებისა და უწყებათაშორისი შეხვედრების მეშვეობით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ, ასევე, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე მესხთა და ბოშათა რაოდენობა პერიოდულად სწორდება, მონაცემთა ბაზა კი ახლდება, მესხებისა და ბოშების პრობლემები იდენტიფიცირებულია და ისინი ჩართულნი არიან სასწავლო პროცესში.

საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირთა დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემები მოგვარებულია მათი სკოლის მონაცემთა ბაზაში შეტანით, მეორე მხრივ კი, განათლების ხარისხის გაუმჯობესების ეროვნული ცენტრის მიერ აზერბაიჯანში განხორციელებული პროგრამის აღიარებით, რის შედეგადაც ამ პირებს სასწავლო პროცესში ჩართვის შესაძლებლობა ეძლევათ.

მესხი და ბოშა ბავშვები მათ თანატოლებთან რეგულარული ურთიერთობით, სამოქალაქო აქტივობების მუდმივი დაგეგმვითა და განხორციელებით აცნობიერებენ სახელმწიფო ენის ცოდნის საჭიროებას და, შესაბამისად, გაცილებით მეტად არიამ მოტივირებულნი. პირებს, რომელთათვისაც ქართული არ არის მათი სახელმწიფო ენა, ეძლევათ შესაძლებლობა, ჩაერთონ მიმდინარე ღონისძიებებში.

მესხი და ბოშა ხალხის კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობისა და ქართველი საზოგადოების მულტიკულტურული ტრადიციების გაზიარების მიზნით საზოგადოება ინფორმირებულია მესხებისა და ბოშების ისტორიისა და მათი ყოველდღიური ცხოვრების შესახებ. ამგვარად, სახელმწიფოს მხრიდან ხელი ეწყობა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და დადებით დამოკიდებულებას მესხებისა და ბოშების მიმართ.

2014-2016 წლებში ზემოხსენებულ რეგიონებში მცხოვრებ ბოშა და მესხი ახალგაზრდების მშობლებთან იმართება შეხვედრები მათი შვილების სწავლის პროცესში ჩართულობის მოტივაციის შენარჩუნების მიზნით; მეტიც, შეხვედრებზე ძალისხმევა მიმართულია მოტივაციის გაზრდისკენ, რაც იმის გარანტიაა, რომ მოზარდები მომავალშიც განაგრძობენ სწავლებას. ამგვარად, მეტი მესხი და ბოშა ჩაერთვება ინტეგრაციის პროცესში.

2013 წლიდან ნებისმიერ პირს საბაზისო განათლებით, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, უფლება აქვს, გაიაროს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროფესიული მომზადების კურსები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ჩაერთო უწყებათაშორისი კომისიის მუშაობაში, რომელიც შეიქმნა სამოქმედო გეგმისა და ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის კოორდინირებული იმპლემენტაციის მიზნით. კომისია ამ ეტაპზე მუშაობს „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიასა“ და 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმაზე. მოცემული სამოქმედო გეგმა, 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმისგან განსხვავებით, მოიცავს ეთნიკური უმცირესობების პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების საკითხებს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მუშაობს ეთნიკური უმცირესობებისათვის პროფესიული განათლების სისტემაში ქართული ენის სწავლების მოდელზე; იგეგმება პროფესიული ტესტების ადაპტირება, მათი თარგმნა. მოდელის სრულად შესრულების შემდეგ ეთნიკური უმცირესობებისთვის ხელმისაწვდომი გახდება პროფესიული მომზადების კურსების ფართო სპექტრი.

ამასთან, 2015 წელს, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ინიციატივით, 4 საზოგადოებრივ ცენტრში (ფოკა, კაბალი, სართიჭალა, ყვარელწყალი) გაიხსნა ქართული ენის კურსები ეთნიკური უმცირესობებისთვის. პროექტი დაინერგა გაერო-ს განვითარების პროგრამის ფინანსური ხელშეწყობით (UNDP). კურსი მორგებულია ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებს და, ძირითადად, იყენებს იმ მეთოდებს, რომლებიც მონაწილეებს ეხმარება სასაუბრო უნარების განვითარებაში. კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ 90-მდე მონაწილემ „PSDA“-სა და იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ სპეციალური სერტიფიკატები მიიღო.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო გეგმავს ქართული ენის კურსების გაგრძელებას ეთნიკური უმცირესობებისთვის.

17) გვ. 23, პუნქტი 79

„ორ ჯგუფს, რომელიც არ იქნა შეტანილი შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმაში, წარმოადგენს: ლტოლვილები და პირები, რომელთაც მინიჭებული აქვთ დამატებითი დაცვის სტატუსი. ECRI-ს აცნობეს, რომ ხელისუფლება გეგმავს ადგილობრივი ინტეგრაციის პროგრამას მათთვის. ამ დროისათვის ამ ჯგუფების სოციალური და ეკონომიკური მხარდაჭერა რჩება კვლავ მოუგვარებელი. ისინი იღებენ ყოველთვიურ შემწეობას დაახლოებით 18 ევროს ოდენობით და შეუძლიათ მიიღონ ძირითადი ჯანდაცვის მომსახურება და განათლება. მათ აქვთ მუშაობის საშუალება, მაგრამ ამ უფლების გამოყენება ძნელია ენობრივი ბარიერის გამო, გარდა იმ პირებისა, ვისაც აქვს რუსული ენის საკმარისი ცოდნა. უცხო ენის შემსწავლელი კურსები არ არის უზრუნველყოფილი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR) სთავაზობს. ლტოლვილთა დახმარების პროგრამები, ძირითადად, ფინანსდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, მაგალითად, პანკისის ხეობაში. ასეთი მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს არ არის საიმედო გზა გრძელვადიანი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად“.

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

მთავრობის 2015 წლის 29 იანვრის №15 ბრძანების საფუძველზე თავშესაფრის მაძიებლები, ლტოლვილები და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები უზრუნველყოფილნი არიან ქართული ენის შემსწავლელი კურსებით. 67 ბავშვი უკვე ჩართულია ამ კურსებში. რაც შეეხება სკოლამდელ განათლებას, თავშესაფრის მაძიებელთათვის, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის, ასევე, უზრუნველყოფილია სკოლამდელი განათლება თბილისის საკრებულოს №2-5 ბრძანებით. ამ ეტაპზე 18 ბავშვია ჩართული ამ კურსებში.

„UNHCR“-თან კონსულტაციების შედეგად 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის ნაწილად იქცა თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ინტეგრაცია საზოგადოებაში. სტრატეგია დამტკიცდა 2015 წლის 30 ნოემბერს, ხოლო დეტალური სამოქმედო გეგმა – 2015 წლის 22 დეკემბერს. თავშესაფრის მაძიებელთათვის, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის განსახორციელებელი ინტეგრაციის პოლიტიკის აღწერა და ძირითადი მიმართულებები მოცემულია მიგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში. ამასთან, სტრატეგიაშია განმტკიცებული

თანამშრომლობის მექანიზმები (მაგ., განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და სხვ.). რაც შეეხება სამოქმედო გეგმას, იგი განსაზღვრავს ინტეგრაციის ღონისძიებების განხორციელებისთვის საჭირო ფინანსურ საჭიროებებს.

2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია განსაზღვრავს იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ინტეგრაციის შემდეგ მიმართულებებს:

- ლტოლვილებისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ინტეგრაციული პროგრამებისა და სახელმწიფო სერვისების უზრუნველყოფა დედაქალაქში, ისევე, როგორც რეგიონებში;
- ქართული ენის, კულტურისა და საკანონმდებლო საფუძვლების შესახებ სწავლების ინტენსიური პროგრამების დახვეწა და რეგულარულად შეთავაზება როგორც სკოლის ასაკის ლტოლვილებისთვის, ისე ზრდასრულებისთვის; ;
- საქართველოს 2013-2020 წლების პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიისა და საქართველოში განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულების შესაბამისად, საქართველოში ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარების მეთოდოლოგიის დახვეწა, რაც დადებითად აისახება ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ფორმალური და არფორმალური განათლების აღიარებაზე;
- საქართველოში თავშესაფრის მქონე პირთა ჩართვა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული გადამზადების პროგრამასა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების პროგრამაში;
- დროებით მიმღებ ცენტრ(ებ)ში თავშესაფრის მაძიებელ პირებთან პერიოდული შეხვედრების ფორმატის შემუშავება; საქართველოში ცხოვრების და ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობების, საკანონმდებლო სიახლეების, მათი უფლებებისა და ამ უფლებათა დაცვის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირების რეგულარული ინფორმირება საკანონმდებლო ცვლილებების და ახალი სამთავრობო პროგრამების თუ ინიციატივების შესახებ;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ 2015 წელს გამოქვეყნებული საინფორმაციო ბროშურის (არაბულ, ფრანგულ, სპარსულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე) გავრცელება სამიზნე ჯგუფში მათთვის ადმინისტრაციული პროცედურების, საქართველოში ცხოვრების და ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობების შესახებ. ადგილობრივი სათემო და არასამთავრობო ორგანიზაციების, ისევე, როგორც სხვა შუამავალი რგოლების, ცნობიერების ამაღლება საქართველოში თავშესაფრის სისტემის და ინტეგრაციის პოლიტიკის მიზნების შესახებ;

- ლტოლვილებისა და საქართველოში ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა წარმატებული ინტეგრაციის საზომი ინდიკატორების შემუშავება, ისევე, როგორც მოცემული ინდიკატორების მონიტორინგისათვის აუცილებელი მონაცემების შეგროვება.

18) გვ. 23, პუნქტი 80

„ასევე, მესხების დახმარება არ იყო რეპატრიაციისა და ინტეგრაციის ყოვლისმომცველი სტრატეგიის ნაწილი, როგორც 2010 წლის ECRI-ს რეკომენდაციებშია ნაჩვენები. სტრატეგია დასრულდა 2014 წელს და შესაბამისი სამოქმედო გეგმის განხორციელება კვლავ დღის წესრიგში დგას“.

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

მუსლიმი მესხების საქართველოში რეპატრიაცია საქართველოს მთავრობისათვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. რეპატრიაციის პროცესის რეგულირებისათვის მიღებულ იქნა რიგი საკანონმდებლო აქტებისა, რომლებიც, ასევე, განსაზღვრავს ამ პროცესში პასუხისმგებელ სამთავრობო ორგანოებს.

2014 წლის 12 სექტემბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება „მე-20 საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან ყოფილი საბჭოთა კავშირის მიერ იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის სახელმწიფო სტრატეგიის“ დამტკიცების შესახებ. მოცემულ ეტაპზე სამოქმედო გეგმის მომზადების პროცესი დასრულებულია და გადის უწყებათაშორის პროცედურებს საქართველოს მთავრობაში. 2015 წლის 30 დეკემბერს გაიმართა უწყებათაშორისი რეპატრიაციის საბჭოს სხდომა, სადაც წარდგენილ იქნა სამოქმედო გეგმის კანონპროექტი.

2016-2017 წლების რეპატრიაციის სამოქმედო გეგმის პროექტი მოიცავს როგორც რეპატრიანტთა ღირსეული დაბრუნებისათვის განსახორციელებელ აქტივობებს, ისე საქართველოში მათი ინტეგრაციის პროგრამებს. სამოქმედო გეგმის პროექტის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, პირველ რიგში, მოახდენს დაბრუნებულების საჭიროებების იდენტიფიცირებას საქართველოში მათთვის არსებული რესურსების იდენტიფიცირებასთან ერთად მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. ამასთან, რეპატრიანტთა ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად განხორციელდება მთელი რიგი აქტივობებისა, მათ შორის: დაფინანსდება ბიზნესპროექტები; გარკვეული შეღავათები დაწესდება და საქონლის იმპორტთან დაკავშირებული პროცედურები გამარტივდება იმ რეპატრიანტთათვის, რომელთაც საქართველოში მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აქვთ; შეიქმნება პირობები განთავსებისათვის უზრუნველსაყოფად; ჩატარდება საინფორმაციო კამპანია საქართველოს მოსახლეობისთვის საქართველოში ინტეგრაციის შესაძლებლობების შესახებ; უზრუნველყოფილი იქნება მათი განათლების ხელმისაწვდომობისა და ქართული ენის სწავლების შესაძლებლობების გარანტირება; მათი ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა და სხვ.

19) გვ. 23, პუნქტი 83

„ინფრასტრუქტურის პროექტი, რომელსაც ეხება 77-ე პუნქტი, მიზნად ისახავდა ისტორიული ეთნიკური უმცირესობების სოციო-ეკონომიკური მარგინალიზაციის შემცირებას, და რომელიც განხორციელდა 2009-2014 სამოქმედო გეგმის თანახმად, არ მოიცავდა საკმარის უნარების გასავითარებელ აქტივობებს, როგორიცაა, პროფესიული ტრენინგის პროგრამები“.

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

მოცემული ფორმულირება „ისტორულად ეთნიკური უმცირესობების სოციო-ეკონომიკური მარგინალიზაციის შემცირება“. არ არის ზუსტი ფორმულირება, ვინაიდან ინფრასტრუქტურული პროექტები მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობების სოციოეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების გაუმჯობესებას მათი კომპაქტური განსახლების რეგიონებში.

20) გვ. 23, პუნქტი 84

„მიუხედავად იმისა, რომ არსებული ინტეგრაციის პოლიტიკა 2009-2014 წლების შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციის და სამოქმედო გეგმის ნაწილია, მარგინალიზაცია კვლავ პრობლემაა უმცირესობის რეგიონებში სოციალურ სერვისებთან დაკავშირებით. მაშინ, როცა გარკვეული გაუმჯობესება შესამჩნევია ისეთ საკითხებში, როგორიცაა სოციალური უსაფრთხოების სფერო და, განსაკუთრებით, ჯანდაცვის სექტორი, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უმცირესობათა ენებზე კვლავ დაბალია და ხალხი ხშირად არ არის ინფორმირებული არსებული სერვისების შესახებ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები სპეციალურად გათვლილ ისტორიულ-ეთნიკურ უმცირესობებზე, მაგრამ ამ სამუშაოს წვდომის მასშტაბი კვლავ მცირეა“.

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

არ არის ნათელი, რა იგულისხმება ფრაზაში – „მარგინალიზაცია ასევე ვრცელდება ეთნიკურ უმცირესობებში სოციალურ სერვისებზე“. საქართველოს თითოეულ მოქალაქეს თანაბარი ხელმისაწვდომობა აქვს სახელმწიფოს სოციალურ პროგრამებსა და სერვისებზე. თუმცა, სახელმწიფო ენის ცოდნის ნაკლებობის გამო, ისინი შესაძლოა, აწყდებოდნენ გარკვეულ სირთულეებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით პროგრამებსა და სერვისებში მათ მშობლიურ ენებზე.

C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობებისთვის დაიგეგმა და განხორციელდა საინფორმაციო კამპანია პროგრამის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების, ცნობადობის ამაღლებისა და კომუნიკაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით. საინფორმაციო ბუკლეტები მომზადდა და დაიბეჭდა როგორც სახელმწიფო, ისე ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე (5 000 ბროშურა – სომხურ, 5 000 ბროშურა – აზერბაიჯანულ და 5 000 – რუსულ ენებზე.)

საინფორმაციო მასალა გავრცელდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოქალაქეთა მისაღებში; სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ ტერიტორიულ ფილიალებში, რომელმაც მოიცვა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონები: სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი. საინფორმაციო მასალა დაურიგდათ სოფლის ექიმებსაც. საინფორმაციო მასალის ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებგვერდზე (http://www.moh.gov.ge).

21) გვ. 23, პუნქტი 85

„ბევრ გეოგრაფიულად იზოლირებულ უმცირესობათა რეგიონებში ქართული რადიო და ტელევიზია არ არის ხელმისაწვდომი. რის გამოც, მოსახლეობა ძირითადად აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ მედიაზეა დამოკიდებული. შედეგად, საქართველოში მიმდინარე მოვლენების თვალყურის დევნის მინიმალური საშუალება აქვთ ასეთ რეგიონებში. თავის მხრივ, ეს განაპირობებს უმცირესობის წევრების მინიმალურ მონაწილეობას პოლიტიკურ საკითხებში. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ რამდენიმე ტექნიკური ნაბიჯი გადადგა საზოგადოებრივი მაუწყებლობის დაფარვის არეალის გასაფართოებლად, პრობლემა სრულად არ მოგვარდა. ეს შესაძლებელია მოგვარდეს ციფრულ მაუწყებლობაზე გადართვით, რომელიც უახლოეს მომავალშია დაგეგმილი. ქართული საზოგადოებრივი მაუწყებლობის ხელმისაწვდომობის გაზრდა მხოლოდ ნაწილობრივ მოაგვარებს პრობლემას, რადგან პროგრამები უმცირესობათა ენებზე შეზღუდულია და არც თუ ისე მაღალი ხარისხის. 2009-2014 წლების სამოქმედო გემა ითვალისწინებდა უმცირესობათა ენაზე პროგრამების რაოდენობის გაზრდას. თუმცა, მათ მიმართ ინტერესი და რეიტინგი დაბალი დარჩა. პროგრამამ „ჩვენი ეზო“, რომელიც უმცირესობათა საკითხებს ეხებოდა, უმცირესობათა წევრების კრიტიკა დაიმსახურა, რადგან, მათი თქმით, პროგრამა ისტორიულ, ეთნიკურ უმცირესობას როგორც იზოლირებულ ჯგუფს განიხილავდა, და პერიოდულად, სტერეოტიპების აღდგენას უწყობდა ხელს, იმის ნაცვლად, რომ ინტეგრაციაზე გაემახვილებინა ყურადღება“.

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

წარმოდგენილი ინფორმაცია არასრულია: საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით სატელევიზიო ახალი ამბები გადაიცემა ეთნიკურ უმცირესობათა 5 ენაზე (სომხურად, აზერბაიჯანულად, რუსულად, აფხაზურად და ოსურად). 2014 წლის ოქტომბრიდან საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადის საინფორმაციო-ანალიტიკური გადაცემა „ახლანდელი დრო“ („RFE/RL“-ისა და „Voice of America“-ს ერთობლივი პროექტი), რომელიც ეთნიკურ უმცირესობებს აწვდის ინფორმაციას საქართველოსა და მსოფლიოში პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრესების შესახებ. ახალი ამბებიც ყოველდღიურად გადის „პირველ რადიოზე“ ზემოჩამოთვლილ ენებზე, ასევე ქურთულად. ამასთან, სახელმწიფო მხარს უჭერს აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ბეჭდვით მედიას.

22) გვ. 24, პუნქტი 87

„2009-2014 შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და მისი სამოქმედო გეგმის ვადის გასვლის შემდეგ, ხელისუფლება მუშაობს 2015-2020 წლების ახალ სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის სტრატეგიის შემუშავებასა და მიღებაზე“.

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

სამოქალაქო თანასწორობისა და ჩართულობის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა 2015 წლის 17 აგვისტოს. ახალი სტრატეგია დაფუძნებულია მიდგომაზე – „მეტი მრავალფეროვნება, მეტი ჩართულობა“, და მიზნად ისახავს თანასწორობის უზრუნველყოფის ხელშეწყობას; ეთნიკურ უმცირესობათა საზოგადოებრივი

ცხოვრების ყველა სფეროში სრულფასოვან ჩართულობასა და ეროვნულ უმცირესობათა კულტურისა და თვითმყოფადობის დაცვას.

23) გვ. 24, პუნქტი 88

„ECRI მხარს უჭერს, რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს სამოქმედო გეგმის იმ ნაწილის შესრულება, რომელიც ეხება მესხების რეპატრიაციისა და მათ ინტეგრაციას. ასევე, ლტოლვილთა და იმ პირების ინტეგრაციას, ვინც სარგებლობს სახელმწიფო დამატებითი დაცვის პროგრამით“.

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

გთხოვთ, იხილოთ 79-ე, მე-80 პუნქტების კომენტარები.

რელიგიური შეუწყნარებლობა და დისკრიმინაცია

24) გვ. 25, პუნქტი 94

„ერთი დომინანტი ქრისტიანული ეკლესიის არსებობამ ხელი შეუშალა კონსტრუქციული პლურალისტული რელიგიური ტრადიციის ჩამოყალიბებას წარსულში. ეს აშკარად არის გამოხატული იმ მიმდინარე პრობლემებში, როგორიცაა რელიგიური დანიშნულების შენობების, რომელთაგან ძალიან ბევრი ქართული მართმადიდებლური ეკლესიის გამოყენებაშია, ყოფილ მესაკუთრეთათვის დაბრუნება. სომხური სამოციქულო ეკლესია ითხოვს 6 ეკლესიის დაბრუნებას. სომხურ სამოციქულო ეკლესიას აქვს საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) სტატუსი, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს საკმარისი არ არის მთავრობისთვის რომ ეკლესია ჩაითვალოს ამ შენობების მემკვიდრე მესაკუთრედ“.

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

რელიგიურ საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ აკადემიურ წრეებთან თანამშრომლობით დააფუძნა „სახელმწიფო რელიგიური პოლიტიკის კვლევის ცენტრი“. ცენტრის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს სხვადასხვა რელიგიურ ორგანიზაციას შორის სადავო რელიგიურ შენობებზე საკუთრების მოპოვების გზების კვლევა. სომხეთის სამოციქულო ეკლესიის სამართლებრივი სტატუსი, მოცემულ შემთხვევაში, არარელევანტურია, ვინაიდან საკითხი გაცილებით რთული და მგრძნობიარეა, რადგან სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს შიდაკონფესიურ ურთიერთობებში ჩარევისაგან, რათა დაიცვას ნეიტრალიტეტი. მოცემულ დრომდე სააგენტოს არ მიუღია არავითარი მტკიცებულება/ინფორმაცია იმ სადავო შენობების სომხური სამოციქულო ეკლესიისადმი ისტორიული კუთვნილების შესახებ, რომლებზეც ის დაობს.

25) გვ. 26, პუნქტი 95

„ახალი რელიგიური დანიშნულების შენობის აშენება, ასევე, გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული რელიგიური უმცირესობებისთვის. რუსთავში, ახლი კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის ნებართვის გაცემა უკვე 2 წელია განხილვის პროცესშია, მიუხედავად მუნიციპალური ადმინისტრაციისთვის გაცემული სასამართლო დავალებისა რომ გაიცეს მშენებლობის ნებართვა. ბევრი წელია, მუსლიმმა თემმა ვერ მიიღო ნებართვა მეორე მეჩეთის აშენებასთან დაკავშირებით. რამდენიმე ასეული მუსლიმი ვერ ეტევა არსებულ მეჩეთში პარასკევის ლოცვის დროს, ამიტომ ისინი იძულებულნი არიან მიმდებარე ქუჩებში ილოცონ. საბოლოოდ მუნიციპალიტეტი დათანხმდა ახალი მეჩეთის მშენებლობას,

მხოლოდ იმ პირობით, თუ ის ქალაქის ცენტრიდან საკმაოდ მოშორებით აშენდება. იეჰოვას მოწმეებიც ხშირად ხვდებიან მსგავს პრობლემას სამლოცველოს აშენებასთან დაკავშირებით, როგორც ეს ნაჩვენებია თერჯოლის საქმეში“.

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

რუსთავის კათოლიკურ ეკლესიასთან მიმართებით, სააგენტომ განაცხადი გააკეთა და მხარი დაუჭირა მის მშენებლობას. რაც შეეხება ბათუმის მეჩეთს, უნდა აღინიშნოს, რომ სრულიად საქართველოს მუსლიმთა ადმინისტრაციამ და რეზიდენციამ გადაინაცვლა სახელმწიფოს მიერ შესყიდულ და ადმინისტრაციისთვის გადაცემულ შენობაში. დაიცალა მეჩეთის მიმდებარედ არსებული კომერციული ფართიც. ყოველივე ეს კი ემსახურება მლოცველთათვის არასაკმარისი სივრცის პრობლემის მოგვარებას.

26) გვ. 26, პუნქტი 96

„ECRI-ს რეკომენდაციაა, რომ არსებული დავები რელიგიურ საკუთრებასთან დაკავშირებით სწრაფად, გამჭვირვალედ და სამართლიანად უნდა მოგვარდეს. ასევე, რელიგიური დანიშნულების შენობების მშენებლობის ნებართვის გაცემა დამოკიდებული უნდა იყოს არა ადგილობრივ პროტესტსა და მოსაზრებებზე, არამედ უნდა მოქმედებდეს შესაბამისი კანონის ფარგლებში“.

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

რელიგიურ საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ნაწილობრივ იზიარებს რეკომენდაციას, რომელიც ითვალისწინებს ეფექტური მექანიზმის შექმნას რელიგიური გაერთიანებებისა და ორგანიზაციების ეკონომიკური და ფინანსური საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის. აღსანიშნავია, რომ სააგენტომ მალევე მისი დაარსებიდან შექმნა „სარეკომენდაციო კომისია რელიგიური გაერთიანებების საკუთრებისა და ფინანსური საკითხების შესახებ“. კომისია განცხადების საფუძველზე იკვლევს რელიგიური გაერთიანებებისა და ორგანიზაციების საკუთრებასთან დაკავშირებულ და ფინანსურ საჭიროებებს და ამზადებს შესაბამის რეკომენდაციებს უფლებამოსილი ორგანიებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ კომისია, გარდა სააგენტოს წარმომადგენლებისა, როტაციის პრინციპით აერთიანებს ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებსა და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ისევე, როგორც იმ რელიგიური გაერთიანების წარმომადგენლებს (ხმის მიცემის უფლებით), რომელთა საკითხიც იხილება. მოცემული პოლიტიკისა და პრაქტიკის შედეგები დადებითადაა შეფასებული თავად რელიგიური გაერთიანებების მიერ. გამოცდილების ზრდასთან ერთად სააგენტო დამატებით მუშაობს კომისიის აქტივობების გასაუმჯობესებლად და მომავალშიც გააძლიერებს ძალისხმევას მისი მოდერნიზებისათვის, რათა რელიგიური უმცირესობების საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები და ფინანსური საჭიროებები დაკმაყოფილებულ იქნეს გამჭვირვალე, სწრაფი და სამართლიანი გზით.

27) გვ. 26, პუნქტი 98

„სააგენტომ გადაწყვიტა, ფინანსური დახმარება გაუწიოს 4 რელიგიურ ჯგუფს, როგორც საბჭოთა პერიოდში გადატანილი უსამართლობისა და ზარალის ნაწილობრივი კომპენსაცია. მუსულმანურმა თემმა მიიღო 1 100 000 ლარი, სომხურმა სამოციქულო ეკლესიამ – 300 000 ლარი, კათოლიკურმა ეკლესიამ – 200 000 ლარი და ებრაულმა თემმა –100 000 ლარი. თუმცა, ამ ჯგუფებმა გამოთქვეს უკმაყოფილება, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მათთან კომუნიკაცია არ იყო

საკმარისი და კრიტერიუმებს აკლდა გამჭვირვალობა“.

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

2014 წლის 27 თებერვლით დათარიღებული №117 ბრძანებით 4 რელიგიური გაერთიანების დაფინანსება არ უნდა ჩაითვალოს მიყენებული ზიანისთვის ერთგვარ კომპენსაციად ან რესტიტუციად, არამედ ეს არის სიმბოლური დატვირთვის მატარებელი, ვინაიდან საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პერიოდში მიყენებული ზარალი უცნობია. შესაბამისად, ფინანსური აქტივების რაოდენობის განსაზღვრისათვის საჭირო კრიტერიუმი ითვალისწინებს მოცემულ რელიგიურ ორგანიზაციებთან დაკავშირებით არსებულ გარემოებებს.

28) გვ. 26, პუნქტი 99

„ეჭვები სააგენტოს მუშაობასთან დაკავშირებით გაიზარდა 2015 წლის რელიგიური პოლიტიკის განვითარების სტრატეგიის გამოქვეყნების შემდეგ. სტრატეგია აცხადებს, რომ „ქართულმა სახელმწიფომ თავიდან უნდა აიცილოს მეზობელი ქვეყნების შიდა პოლიტიკაში ჩარევა ქართული მოსახლეობის ეთნიკურ-რელიგიური მრავალფეროვნების მოტივით“. საქართველოში პრობლემის მასშტაბი მხოლოდ რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვით შემოიფარგლებოდა. თუმცა, ამავდროულად, ის უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო უსაფრთხოების დისკურსს. ბევრმა დამკვირვებელმა აღნიშნა, რომ რელიგიური თავისუფლების და რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დაცვის საკითხის უსაფრთხოების პერსპექტივაში განხილვა ხელს უშლის უფლებების დაცვას, დისკრიმინაციის, ძალადობის და შეუწყნარებლობის აღმოფხვრას. ეს რისკს ქმნის, რომ გადაიქცეს ორგანოდ, რომელიც თვითონ შექმნის პირობებს, რომელიც გამოიწვევს უმცირესობების მარგინალიზაციას, შეამცირებს ნდობას და ეროვნულ თვითშეგნებას“.

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

რელიგიური პოლიტიკის განვითარების სტრატეგია ყველასთვის მარტივად ხელმისაწვდომი გამჭვირვალე დოკუმენტია. სტრატეგია მოიცავს რელიგიური სფეროს ფაქტობრივად ყველა ასპექტს. მასში ასახულია რელიგიური პოლიტიკის განვითარებისათვის საჭირო რიგი მოტივატორებისა, როგორიცაა: რელიგიის თავისუფლების პატივისცემა; რელიგიური მრავალფეროვნების უზრუნველყოფა და სხვ. შესაბამისი კითხვების სხვა ნაწილი დანახულ უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობისა და მისი საერთაშორისო ვალდებულებების ჭრილში ზემოხსენებული პირობების გათვალისწინებით. არასწორია სტრატეგიის უსაფრთხოების კომპონენტის მთლიანი დოკუმენტისგან დამოუკიდებლად და კონტექსტიდან ამოგლეჯილად განხილვა. რეალურად, სამეზობლო პოლიტიკისა და რელიგიური მრავალფეროვნების აღწერა ემსახურება რეგიონში არსებული რეალობის ასახვას. სტრატეგიის უსაფრთხოების ასპექტი განხილულ უნდა იქნეს დადებით კონტექსტში, კერძოდ, რელიგიური გაერთიანებების უფლებების გაზრდისა და მათი ინტერესების დაცვის კონტექსტში. სტრატეგიის მთელი თავი მიძღვნილია რელიგიურ უმცირესობებსა და მათი უფლებების დაცვას, ხოლო უსაფრთხოების კომპონენტი ნახსენებია მხოლოდ წინასწარი დოკუმენტის აღწერილობით ნაწილში.

29) გვ. 27, პუნქტი 101

„ECRI-ს რეკომენდაციის შესაბამისად, აუცილებელია, სტრატეგიაში ცვლილებების შეტანა რელიგიური პოლიტიკის გასავითარებლად, რომელიც ფოკუსირდება რელიგიური უმცირესობების უფლებებზე, დისკრიმინაციასთან ბრძოლის პრინციპსა და რელიგიური შემწყნარებლობის გაღრმავების ხელშეწყობაზე საზოგადოებრივი ჩართულობისა და ინტეგრაციის თვალსაზრისით. აგრეთვე, რელიგიური უმცირესობების საერთო საჯარო პოლიტიკაში ჩართვის კონცეფცია უნდა დაიხვეწოს, რელიგიურ უმცირესობათა უფლებების სრული დაცვის გათვალისწინებით“.

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

რელიგიურ საკითხთა სახელმწიფო სააგენტო იზიარებს რეკომენდაციას სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული „საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის განვითარების სტრატეგიის“ დოკუმენტის პროექტის გადახედვასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტი წარდგენილ იქნა მხოლოდ პროექტის სახით. შესაბამისად, ამ დრომდე ის ღიაა რეკომენდაციებისა და შენიშვნებისთვის. კონსულტაციების შედეგად, სააგენტო თვლის, რომ „სტრატეგია“, როგორც მოქმედი დოკუმენტი, უნდა განვითარდეს რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ანტიდისკრიმინაციული გარემოს ხელშეწყობის გზით. დოკუმენტის საბოლოო ფორმირება და ძალაში შესვლა იგეგმება 2016 წელს.

30) გვ. 27, პუნქტი 103

„ECRI –ს რეკომენდაციით საქართველოს მთავრობამ უნდა გააძლიეროს რელიგიათა საბჭოს მხარდაჭერა, რომელიც ფუნქციონირებს სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ფარგლებში. მთავრობამ უნდა დაავალოს რელიგიურ საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, მჭიდროდ ითანამშრომლოს რელიგიათა საბჭოსთან, გამოიყენოს მათი გამოცდილება და რეკომენდაციები, რათა მოგვარდეს რელიგიური შეუწყნარებლობის პრობლემა“.

საქართველოს მთავრობის კომენტარი:

რელიგიურ საკითხებზე სახელმწიფო სააგენტო არ იზიარებს რეკომენდაციას, რომელიც ხელისუფლებას მოუწოდებს, დაავალოს სააგენტოს რელიგიების საბჭოსთან თანამშრომლობა, რომელიც, თავის მხრივ, სახალხო დამცველის ტოლერანტობის ცენტრის ფარგლებში მოქმედებს. მოცემული რეკომენდაცია მეტად წინააღმდეგობრივია. აღსანიშნავია, რომ მოცემული საკითხის რიგი არსებითი დეტალებისა სააგენტოს მიერ ნათლად იქნა განმარტებული „ECRI“-ს ოფიციალური დელეგაციისათვის:

- პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ რელიგიურ საკითხებზე სახელმწიფო სააგენტო მისი დაარსების დღიდან აქტიურად თანამშრომლობს ყველა რელიგიურ გაერთიანებასა და მათ ორგანიზაციებთან საქართველოში, მათ შორის, რელიგიების საბჭოს წევრებთან როგორც ინდივიდუალური, ისე ღია ინტერრელიგიური ფორმატით.
- აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ სააგენტო საკუთარი ღონისძიებების განხორციელებისას გაცილებით მეტ რელიგიურ გაერთიანებასთან თანამშრომლობს, ვიდრე რელიგიების საბჭოშია წარმოდგენილი.

- მნიშვნელოვანია ისიც, რომ სააგენტოს მანდატი მისი ღირებულებით განსხვავდება რელიგიების საბჭოს მანდატისგან და ის გაცილებით ფართოა, ვიდრე რელიგიების საბჭოს ინტერრელიგიური აქტივობები.
- მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს სახალხო დამცველი ოფისთან, თუმცა, რელიგიების საბჭოსგან მსგავსი შემოთავაზება სააგენტოს ჯერ არ მიუღია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც სააგენტო უნდა შემოიფარგლოს რელიგიურ გაერთიანებებთან მხოლოდ რელიგიების საბჭოს ფორმატით ურთიერთობით, წარმოადგენს ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს ერთი კონკრეტული ინსტიტუტის გაძლიერებას მეორე ინსტიტუტის დაზიანების ხარჯზე, ვინაიდან საბჭო ვერც ყველა რელიგიურ გაერთიანებას ფარავს და ვერც მისი ფორმატი სთავაზობს რელიგიური გაერთიანებებისა და ორგანიზაციების ყველა საჭიროებასთან დაკავშირებული გამოსავლის უზრუნველყოფას.

დანართი

დაწყებული გამოძიება					
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**
მუხლი 142 ,,ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა"	**1**(შეუწყნარებლობა ეთნიკური ნიშნით)	0	0	0	0
142[1]-ე მუხლის 1-ლი პუნქტი "რასობრივი დისკრიმინაცია"	**1**(შეუწყნარებლობა რასობრივი და ეროვნული ნიშნით)	0	0	0	**1** (შეუწყნარებლობა რასობრივი ნიშნით)
მუხლი 155 "რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა"	**3** (შეუწყნარებლობა რელიგიური ნიშნით) ორ შემთხვევაში გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების არ არსებობის გამო	**2** (შეუწყნარებლობა რელიგიური ნიშნით -1, უცნობი-1) შეწყდა სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების არ არსებობის გამო	**2** (შეუწყნარებლობა რელიგიური ნიშნით) ერთი გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების არ არსებობის გამო	**2** (შეუწყნარებლობა რელიგიური ნიშნით)	**4** (შეუწყნარებლობა რელიგიური ნიშნით) ორ შემთხვევაში გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების არ არსებობის გამო
მუხლი 156 "დევნა"		**2** (რელიგიური ნიშნით) ერთი გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების არ არსებობის გამო	**6** (შეუწყნარებლობა რელიგიური ნიშნით -4, პოლიტიკური ნიშნით - 1, უცნობი - 1) ორ შემთხვევაში გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების არ არსებობის გამო	**14** (რელიგიური ნიშნით- **5**, პოლიტიკური ნიშნით- **9**) ოთხ შემთხვევაში გამოძიება შეწყდა	**12** (რელიგიური ნიშნით) ოთხ შემთხვევაში გამოძიება შეწყდა

მუხლი 166 "პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების შექმნისათვის ან მისი საქმიანობისათვის ხელის შეშლა"	0	0	1(პოლიტიკური ნიშნით)	0	1 (რელიგიური ნიშნით) შეწყდა პროკურორის დისკრეციით
სულ:	**5 დაწყებული - 2 შეწყვეტილი**	**4 დაწყებული - 3 შეწყვეტილი**	**9 დაწყებული - 3 შეწყვეტილი**	**16 დაწყებული - 4 შეწყვეტილი**	**18 დაწყებული- 7 შეწყვეტილი**
დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა					
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**
144[1]-ე მუხლის მე-2 პუნქტი "წამება" (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით)	0	0	6 პირი	0	0
144[3]-მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევა "დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა" (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით)	0	0	6 პირი	1 პირი	0
მუხლი 155 "რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა"	0	0	0	0	1 პირი
მუხლი 156 "დევნა"	1 პირი	0	10 პირი	2 პირი (1პოლიტიკური ნიშნით, 1 რელიგიური ნიშნით), 3 პირი განრიდებულ იქნა სისხლისსამართლებრივი დევნისაგან	6 პირი
სულ:	**1**		**22**	**6**	**7**